

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №2

ქ. ახმეტა

16 იანვარი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

რ.ბაღაკაშვილი, ა.ბულრიძე, ლ.ითიურიძე
ა.მექვევრიშვილი, შ.ტერტერაშვილი
ბ.ჭიჭიკლიშვილი, თ.წითელაური
თ.ბოდაველი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰სათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/
3. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ის შექმნის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს.

შ.ტერტერაშვილმა ყურადღება გაამახვილა საკრებულოს რიგითი წევრების შრომის ანაზღაურების გაზრდაზე, კანონი ევროპული ქარტიის შესახებ პირდაპირ გვეუბნება, რომ შესაბამისი კომპენსაცია მიეცეთ ჩვენს წარმომადგენლებს. გვყავს საკრებულოს წევრები, რომლებიც შორი მანძილიდან დადიან. წარმოუდგენელია, მათ დაწესებული კომპენსაციის ფასად მოვკითხოთ, შეასრულონ სამსახურებრივი მოვალეობა. მოვნახოთ გზები, შევიძუშაოთ საკრებულოს წევრების შრომის ანაზღაურების წესი, მათი მუშაობის უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

1 - კეჭისყრაში მონაწილეობა

არ მიიღო შ.ტერტერაშვილმა

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მერიის (#01/153, 16.01.2018წ) წერილი და წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აღნიშნულ წერილში მერია "საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, "საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 23-მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ითხოვს დაშვებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (გრეიდერი) მძღოლი-1, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (კამაცუ) მძღოლი-1, ავტობუსის მძღოლი-1, მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-3, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-1, მერის თანამშემწე-1, მერის მისადების კოორდინატორი (მდივანი) -1, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში: ერთი მძღოლის, ერთი მდივნის, ერთი საკრებულოს თავმჯდომარის თანამშემწის შიღება 2019 წლის 1 იანვრამდე.

შ.ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ არ მიაჩნია მიზანშეწონილად ტექნიკის გამგეობის ბალანსზე აღრიცხვა. არ ეთანხმება ხელშეკრულების აღნიშნულ ფორმას. უმჯობესია აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები გადავცეთ ა(ა)იპ-ებს, ან შპს-ებს და გადავკონტროლოთ მათი საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

7 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი (შ.ტერტერაშვილი);

1 - კეჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

თ.ბოდაველმა;

მოსმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ის შექმნის ცნობად მიღების შესახებ;

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ითიურიძემ ბიუროს წევრებს გააცნო განცხადება ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ შექმნის შესახებ. წარმოადგინა ფრაქციის წესდება, პლატფორმა და სადამფუძნებლო კრების ოქმი.

შ. ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ფრაქციის შექმნას.

ბიურომ ცნობად მიიღო ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ შექმნის შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;

1 - წინააღმდეგი (შ.ტერტერაშვილი);

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა ბიუროს დამსწრე წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11⁴⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



(Handwritten signature)

თ.ყეინიშვილი